ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურს
პირი -
მერიის ადმინისტრაციული დავების განხილვისა და
სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილებას

შ.პ.ს. „ან-ჯი“-ს (ს/კ 202221586) დირექტორის
გიორგი ანდრიაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მ/წლის 14 მარტს 15 საათზე მერიის შენობის მე-2 სართულის №5 ოთახში ჩატარდა, შპს „სანაპიროს საინვესტიციო ჯგუფის“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა №AR1378990 განცხადების პასუხად არქიტექტურული სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე, რომელიც ეხებოდა შპს „ან-ჯი“-ს წითელი ხაზის გარკვეულ ფარგლებში ღობის მშენებლობის ნებართვის გაცემას.

აღნიშნულ განხილვაზე შპს „საინვესტიციო ჯგუფის“ წარმომადგენლებმა წარმოადგინეს მერიის არქიტექტურული სამსახურის მიერ 2014 წელს დამტკიცებული თავიანთ მფლობელობაში არსებული ნაკვეთის ს.კ202249673 დ.რ.გ. რომელშიც, დატანილია გზა ხოშარაულის ქუჩიდან ჩემი ტერიტორიის გავლით თავიანთ ნაკვეთამდე. აღნიშნული გზა შპს „ან-ჯი“-ს ტერიტორიაზე მოწყობილ ღობეს(რომელიც გაკეთდა არქიტექტურის სამსახურის №2455565 გადაწყვეტილების შესაბამისად) საერთოდ არ ეხება, ვინაიდან ღობე მოთავსებულია ტერიტორიის ზედა ნაწილში და აღნიშნულ გზასთან გადაკვეთა არ აქვს.

საინვესტიციო ჯგუფის წარმომადგენლებს მითითებული დოკუმენტი (დ.რ.გ.) არ წარმოუდგენიათ არქიტექტურის სამსახურის მიერ ა/წლის 15 თებერვალს ჩატარებულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე და არც შემდგომ, ვინაიდან კარგად იცოდნენ, რომ მოთხოვნილ ღობესა და დ.რ.გ.-ში ნაჩვენებ გზას ურთიერთგადაკვეთა არ ქონდათ, ამასთან აღნიშნული დ.რ.გ. მათ მოპოვებული ქონდათ უკანონოდ, კერძოდ ჩემს ტერიტორიაზე გამავალი გზა არ ქონდათ შპს „ან-ჯი“-სთან შეთანხმებული. ეს მე გავიგე ა/წლის 14 მარტს სხდომაზე განხილვის დროს.

ჩემთვის გაუგებარია და გაოცებას იწვევს შემდეგი გარემოება;

1. მერიის არქიტექტურის სამსახურმა რა უფლებით დაუმტკიცა მათ ხოშარაულის ქუჩიდან შემომავალი გზა, რომელიც კვეთს ჩემს კუთვნილ ტერიტორიას, მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებს, მათ შორის ახლად აშენებულ ხუთსართულიან შენობას, რომელიც ექსპლუატაციაში მიღებულია მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 20 ივლისის №ბ-07/81443-16 ბრძანებით და იმავე წელს დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, იგი მოქმედებს როგორც სავაჭრო ცენტრი- გალერეა GA.
2. საინვესტიციო ჯგუფის დ.რ.გ.-ს მიხედვით, გზა რომელიც გადის ჩემს ტერიტორიაზე ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია იგი მთლიანად წინააღმდეგობაში მოდის ჩემი ტერიტორიის განვითარებისა და რეგულირების გეგმასთან, რომელიც დამტკიცებულია მერიის მიერ 2010 წლის 26 თებერვალს ბრძანებით №01/417 რის მიხედვითაც ვახორციელებ ჩემი ტერიტორიის

განვითარებას, მათ შორის აღნიშნული გეგმის შესაბამისად 2010-2012 წლებში აშენდა ზემოთ ნახსენები გალერეა GA-ს ხუთსართულიანი შენობა, ასევე ამ გეგმის მიხედვით ხორციელდება ჩემი ტერიტორიის კეთილმოწყობა და დამთავრების პროცესშია ახლად ასაშენებელი შენობის პროექტი, რომელიც უნდა გადაებას გალერეა GA-ს შენობას, მოეწყოს მიწისქვეშა ავტოსადგომები და სხვა.

3. შპს საინვესტიციო ჯგუფის მიერ არქიტექტურის სამსახურში არ უნდა იყოს წარმოდგენილი შპს „ან-ჯი"-ს თანხმობის რაიმე დოკუმენტი, შპს „ან-ჯი"-ს ტერიტორიაზე გზის გაყვანის შესახებ და თუ ასეთი წარმოდგენილია ეს იქნება ფალსიფიცირებული დოკუმენტი. ასეთ შემთხვევაში მე დაუყოვნებლივ მივმართავ სათანადო ორგანოებს რეაგირებისათვის მითუმეტეს, რომ ნებისმიერი ექსპერტიზა დაამტკიცებს, რომ ჩემი ორგანიზაციიდან ასეთი თანხმობის დოკუმენტი არ გაცემულა.

მე ვარ შპს „ან-ჯი"-ს დირექტორი 2004 წლიდან და ჩემთან ასეთი შეთანხმება არასდროს მომხდარა.

შპს „ან-ჯი" არასდროს დაეთანხმება საკუთარი ტერიტორიიდან ნებისმიერი სხვა ორგანიზაციისთვის გზის გაყვანის საკითხს.

გთხოვთ შეიტანოთ კორექტირება საინვესტიციო ჯგუფის დ.რ.გ. -ში და ამ დოკუმენტში გააუქმოთ ჩემს ტერიტორიაზე გამავალი გზა მათ ტერიტორიამდე.

ველი თქვენს რეაგირებას

პატივისცემით,

გიორგი ანდრიაძე

15.03.2016.